საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2014 წლის 6 მაისის №52 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით

მიღებული

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ, სტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების თაობაზე.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 5 მაისის №MES 41400257178 წერილისა და თანდართული დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა" ქვეპროგრამის ფარგლებში, სტუ-ს 2014 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდოს 524 723 ლარით და ჯამში I და II კვარტალი განისაზღვროს 1 049 446 ლარით.

2. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2014 წლის I და II კვარტალის საბიუჯეტო შემოსავლები და, შესაბამისად, მათი ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ:

2.1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 231 200 ლარით;

2.2. სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 4 854 ლარით;

2.3. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 8 470 ლარით;

2.4. ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 197 414 ლარით;

2.5. ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 81 584 ლარით;

2.6. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 124 740 ლარით;

2.7. კვების მრეწველობის ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 43 290 ლარით;

2.8. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 9 270 ლარით;

2.9. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 75 915 ლარით;

2.10. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 37 170 ლარით;

2.11. ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 107 730 ლარით;

2.12. ინსტიტუტ „ტალღას" I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 19 662 ლარით;

2.13. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 38 834 ლარით;

2.14. ინსტიტუტ „ტექინფორმის" I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 44 595 ლარით;

2.15. „ბიოტექნოლოგიის" ცენტრის I და II კვარტალის ბიუჯეტი და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვროს 24 718 ლარით.

სენატის სპიკერი,

პროფესორი ჯემალ გახოკიძე